პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 201 (13017) | პარასკევი, 28 აგვისტო, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

მისალმება მოძმე ხალხს

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ვლადისლავ გომულკას

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ე. ოხაბს

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ცირანკევიჩს

მივფრინავ რა მოძმე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე, პირადად ჩემი სახელით და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ვიზიტად მიმავალი სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრთა სახელით გულითადად მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრებო, და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ პოლონელ ხალხს.

ნ. ხრუშჩოვი.

1964 წლის 27 აგვისტო. თვითმფრინავი „ილ-18“. (სატელეფონო).

დღეს ჩვენს ნომერში:

- სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის დიდი ეროვნული დღესასწაული
- 127 წლის მშრომელი ქალის მადლობა
- მსოფლიო ამ დღეებში
- ახალი ამბები, ცნობები

მოძმე ჩეხოსლოვაკიაში

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის გამგზავრება

27 აგვისტოს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვის** მეთაურობით გაემგზავრა პრაღაში. დელეგაცია მოძმე ქვეყანაში გაემგზავრა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით. ვიზიტის დროს დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე ზეიმში, რომელიც ეძღვნება სლოვაკიის ეროვნული აჯანყების 20 წლისთავს.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან: სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ა. ს. ნასრიდინოვი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი **ს. ს. ბირიუზოვი**, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **ხ. ა. კოვპაკი**, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, საბჭოთა კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში **მ. ვ. ზიმიანინი**.

ვნუკოვოს აეროდრომი მორთული იყო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისა და დელეგაციის სხვა წევრების გასაცილებლად მოვიდნენ დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები — ქარხნებისა და ფაბრიკების მუშები, კოლტურნეობა, მოსწავლე ახალგაზრდობა.

აეროდრომზე არიან სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები, ჩეხოსლოვაკიის მოქალაქენი, რომლებიც მოსკოვში ცხოვრობენ.

აეროდრომზე მოვიდნენ ამხანაგები **გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, დ. ს. პოლიანსკი, ლ. ნ. ეფრემოვი, ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ვ. ი. პოლიაკოვი**, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები **დ. თ. უსტინოვი, ბ. ე. დმეშიკი, პ. ფ. ლომაკო, ი. ტ. ნოვიკოვი, კ. ნ. რუდნევი**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე **ი. ვ. პეიფი**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი **კ. ე. ვოროშილოვი**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. პ. გიორგაძე**, გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი **პ. ა. სატიუკოვი**, გაზეთ „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორი **ა. ი. აჯუბეი**, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს წევრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები, მოსკოვისა საქალაქო და სოლჟო პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები და სხვა ოფიციალური პირები.

გამცილებლებმა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს და დელეგაციის წევრებს უსურვეს ბედნიერი მგზავრობა, სთხოვეს, რომ მოძმე ჩეხოსლოვაკიელ ხალხს მხურვალედ მიესალმონ საბჭოთა ადამიანების სახელით.

ღილის ცხრა საათზე თვითმფრინავი „ილ-18“ აფრინდა და კურსი აიღო პრაღისაკენ.

იმავე თვითმფრინავით პრაღაში გაფრინდა ჩეხოსლოვაკიის ელჩი საბჭოთა კავშირში **ო. პავლოვსკი**. (საკდესი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს

მოსკოვი, კრემლი

ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძე!

უდიდესი კმაყოფილების გრძნობითა და სიხარულით შევხვდი კანონს კოლმეურნეთა პენსიებისა და დახმარების შესახებ, რომელზეც თქვენ ილაპარაკეთ მოხსენებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე.

ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძე! ნება მიბოძეთ მოგახსენოთ ჩემი საქმიანობის შესახებ: მე 127 წლისა ვარ, ვშრომობ ჩემი მშობლიური სოფლის კვიტოუოის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციებში. უკვე მოვკრიფე 1.400 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლი და გამოვიმუშავე 68 შრომადღე.

მიღწეული ზღვარი რდია. პირობას ვდებ სამშობლოს მივცე 2 ტონა „მწვანე ოქრო“. მიუხედავად უზარმაზარ ყოფილ ოფლობისა, ვცხოვრობ ჩემი კოლექტივის ცხოვრებით.

ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძე!

ნება მიბოძეთ, როგორც დედამ, გისურვოთ დიდი წარმატებანი თქვენს ჭეშმარიტად უდიდეს ყოველდღიურ პარტიულ და სახელმწიფოებრივ საქმიანობაში. გისურვებთ ჯანმრთელობას და აფხაზურ დიდგრძელობას.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ოჩამჩირის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობა „კუტელია“ უხუცესი კოლმეურნე ხფაფ ლასურია.

ჟ. ფოლიპვის რჩეულ ნაწარმოებთა კრებული

მოსკოვი, 26 აგვისტო (საკდესი). პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობის მთავარმა რედაქციამ მიიღო გადაწყვეტილება რუსულ ენაზე მოამზადოს პალმირო ტოლიატის რჩეულ ნაწარმოებთა კრებული, რომლის მოცულობა 30-35 ნაბეჭდი თაბახი იქნება.

კრებულის გამოშვება გათვალისწინებულია განსორციელდეს 1964 წლის დამლევსა და 1965 წლის დამდეგს.

ალტაის 50 მილიონი ფუთი პური

ბარნაული, 26 აგვისტო. (საკდესის კორ.). კუნუნდის ბევრ ველიან რაიონში მკა დასასრულს უახლოვდება. მთლიანად მხარეში მარცვლეული ღვარეულებად დაწყობილია 3,5 მილიონ ჰექტარზე, რაც შეადგენს მთელი ფართობის თითქმის ორ მესამედს.

მისაღებ პუნქტებში მხარის მიწათმოქმედებმა მიიტანეს 50 მილიონი ფუთი პური.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

ჩიმკენტელ მიწათმოქმედთა წარმატება

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მისალმება გაუგზავნეს უანბეთის კომპარტიის ჩიმკენტის სასოფლო საოლქო კომიტეტსა და საოლქო აღმასკომს, ჩიმკენტის ოლქის კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ყველა მშრომელს იმასთან დაკავშირებით, რომ წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის სოციალისტური ვალდებულებანი.

მისალმებაში ნათქვამია, რომ ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 10 მილიონი ფუთი პური, ანუ 2 მილიონ 800 ათასი ფუთით მეტი, ვიდრე გეგმითაა გათვალისწინებული.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲒᲕᲘᲜᲐᲚᲘᲐᲜᲘ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია იტალიიდან დაბრუნდა

27 აგვისტოს იტალიიდან მოსკოვში სპეციალური თვითმფრინავით დაბრუნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სკკპ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ი. პოპოვი. დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის პალმირო ტოლიატის დაკრძალვაში.

შეხვედრა რომში

რომი, 27 აგვისტო. (საკდესი). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. ი. ბრეჟნევი მიიღო იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ჩეზარე მერძაგორამ და ესაუბრა მას.

გულითადად, მეგობრულ საუბარში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის ელჩმა იტალიაში ს. პ. კოზირევმა.

რესპუბლიკური თათბირ-სემინარი პარტიული პროპაგანდის საკითხებზე

27 აგვისტოს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სხდომათა დარბაზში მუშაობა დაიწყო რესპუბლიკურმა თათბირ-სემინარმა პარტიული პროპაგანდის საკითხებზე.

მის მუშაობაში მონაწილეობენ საწარმოო სამმართველოებისა და სარეწელო-საწარმოო ზონების პარტიული კომიტეტების მდივნები, მათი მოადგილეები იდეოლოგიურ მუშაობაში, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, პროპაგანდისტები, აგიტატორები, პრესის მუშაკები.

თათბირ-სემინარი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგის მოადგილემ **ფ. მახარაძემ.**

თათბირ-სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგის მოადგილის **ჯ. ლომაშვილის** მოხსენება რესპუბლიკაში პარტიული პროპაგანდის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ მახარაძის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი მოადგილე **ნ. მდინარაძე**, საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი **ა. გვარამია**, ჟურნალ „პოლიტიჩესკოე სამოობრაზოვანიეს“ მეთოდური საბჭოს წევრი **ი. სმირნოვი**, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის მდივანი **ხ. გამრეკელი**, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი **თ. ვარდანაშვილი**, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გაგების თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭახრაკია**, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე **ბ. თათარაშვილი**, ხულოს საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე **ლ. გაბაიძე**, ბორჯომის სარეწელო-საწარმოო პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე **ო. სოხაძე**, სამტრედიის სარეწელო-საწარმოო პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე **თ. მიქაძე**.

თათბირ-სემინარი განაგრძობს მუშაობას. (საკდესი).

ახალგაზრდა მეცხოველეთა შეკრება

ცხინვალი, 27 აგვისტო. (საკდესი). დღეს ცხინვალში სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს ახალგაზრდა მეცხოველეთა რესპუბლიკური შეკრება.

შეკრების მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის **ს. ე. ჩერქეზიას** მოხსენება რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანებზე მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვის შექმნის საქმეში.

შეკრების მონაწილეებმა მოუწოდეს რესპუბლიკის ყველა ახალგაზრდა მეცხოველეს გაშალონ შეჯიბრება შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

შეკრების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **დ. გ. სტურუა.**

მეგობრობისა და ძმობის მიჯინგი

პრაღა, 27 აგვისტო. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები მ. ნიკიტინი და ი. მასლენიკოვი იუწყებიან: ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის გრანდიოზული მიტინგი გაიმართა დღეს პრაღაში სტარა-მესტოს მოედანზე. ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის ასეულ ათასობით მცხოვრები მოვიდა აქ დროშებითა და პლაკატებით, **ვ. ი. ლენინის, ნ. ს. ხრუშჩოვის, ა. ნოვოტნის** პორტრეტებით.

საზეიმოდ მორთულია პრაღის უძველესი მოედანი. იგი მოურთავთ საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ალმებით. ტრანსპარანტებზე წარწერილია სიტყვები, რომლებთაც მიესალმებიან საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს, მეგობრულად ულოცავენ დიდ საბჭოთა ხალხს. მოედნის ცენტრში ვეებერთელა პანო, რომელზეც წერია: „საბჭოთა კავშირთან ერთად მშვიდობისათვის, სოციალიზმისათვის, ჩვენი ხალხის ბედნიერებისათვის!“.

მჭეხარე ტაში გაისმა მოედანზე, როცა ტრიბუნაზე ავიდნენ **ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ნოვოტნი**, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები და ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო მოღვაწეები. მძლავრი „ვაშა“ გაისმის მოედანსა და ახლომახლო ქუჩებში. ხალხი რამდენიმე წუთის განმავლობაში ერთხმად გაიძახის „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“, „გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას!“, „მარად საბჭოთა კავშირთან ერთად!“.

მიტინგს ხსნის ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პრაღის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. კრჩეკი. იგი გულითადად მიესალმება საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით და სიტყვას აძლევს ამხანაგ ანტონინ ნოვოტნის, რომელსაც შეკრებილნი მხურვალედ ხვდებიან.

ამხანაგ ა. ნოვოტნის სიტყვა

მიმართა რა ნ. ს. ხრუშჩოვსა და საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სხვა წევრებს, **ა. ნოვოტნიმ** თქვა:

უაღრესად გულწრფელად მოგესალმებით, ძვირფასო ამხანაგებო. მე, ალბათ, ყველა აქ შეკრებილის სახელით ვიტყვი, რომ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ეს ვიზიტი გვახარებს მით უფრო, რომ ამხანაგ ხრუშჩოვისა და სხვა თვალსაჩინო საბჭოთა სტუმრების თანდასწრებით ვიდღესასწაულებთ სლოვაკიის ეროვნული აჯანყების 20 წლისთავს და ამით დავიწყებთ ჩვენი რესპუბლიკის არსებობის 20 წლისთავთან დაკავშირებულ ზეიმს, რომლის დაგვირგვინება იქნება 1965 წლის 9 მაისი — გმირი საბჭოთა არმიის მიერ ნაცისტური მონობისაგან პრაღისა და მთელი ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების წლისთავი.

საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი მეომრების, პარტიზანებისა და სხვა მოქალაქეების ცოცხალი ხსოვნა, რომლებმაც თავი დადეს ჰიტლერული ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, სამუდამოდ დარჩება ჩვენი ხალხის მეხსიერებასა და გულში. ერთად დაღვრილმა სისხლმა სამუდამოდ შეადუღა ჩვენი ხალხების მეგობრობა საბჭოთა კავშირთან და შექმნა აფუძველი ორივე ქვეყნის მტკიცე ძმური კავშირისათვის ომისშემდგომ პერიოდში.

საბჭოთა არმიის მიერ ფაშისტთა ურდოების საბოლოო განადგურება გახდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის არსებობისა და მისი მომავალი სოციალისტური განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი.

ჩვენს პარტიას კარგად ესმის, რომ ყველა წარმატებას, რომლებიც განვლილი ოცი წლის მანძილზე მოვიპოვეთ ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ განვითარებაში, უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ ვეყრდნობოდით საბჭოთა კავშირს, რომ სწორად შევისწავლეთ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის პარტიის გამოცდილება და სწორად დაენერგეთ იგი ჩვენი ქვეყნის პირობებში. ამ მხრივ ყველაზე კეთილნაყოფიერი პერიოდი ჩვენთვის არის უკანასკნელი ათწლეული, რომელიც აღინიშნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX და XXII ყრილობების ახალი ლენინური იდეების წვლილით, ყრილობებისა, რომელთა გადაწყვეტილებებს სავსებით ეთანხმება ჩვენი კომუნისტური პარტია.

სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და პრაქტიკის შემოქმედებითი განვითარებიდან, რომელიც, პიროვნების კულტის შედეგების დაძლევასთან დაკავშირებით, იყო საბჭოთა კომუნისტების ორივე ყრილობის შედეგი, ჩვენმა პარტიამ გამოიტანა პრაქტიკული დასკვნები და ამ დასკვნების საფუძველზე განსაზღვრა ძირითადი ხაზი საკუთარი მოქმედებისა, რომელიც XII ყრილობის გადაწყვეტილებათა სულისკვეთებით ხმარდება დღეს სოციალისტური საზოგადოების ყოველმხრივ განვითარებას. ამასთან, ჩვენ კანონიერი სიამაყით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას აქვთ სრული თანხმობა და ერთნაირი შეხედულებანი ჩვენი დროის ყველა ძირითად საკითხზე. ჩვენი პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ამ მარქსისტულ-ლენინურ ერთობას თვალისჩინივით დავიცავთ, რადგან ეს მიგვაჩნია ჩვენს უპირველეს ინტერნაციონალურ კომუნისტურ მოვალეობად. რომელიც დაკავშირებულია მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის რევოლუციურ მისიასთან.

ჩვენს პარტიებს შორის იმართება მუდმივი გაცვლა დელეგაციებისა, რომლებიც ცხოვრების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები არიან. ჩვენ ხშირად ვხვდებით ერთმანეთს როგორც კომუნისტური პარტიებისა და სოციალისტური სახელმწიფოების წარმომადგენლები, ერთმანეთს ვუზიარებთ აზრს ჩვენი მუშაობის სხვადასხვა საკითხზე და ვწყვეტთ ჩვენი თანამშრომლობის საერთო პრობლემებს.

ყოველი ასეთი შეხვედრა მიმდინარეობს გულწრფელი მეგობრობისა და ამხანაგობის სულისკვეთებით და მუდამ წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენი ურთიერთობის გაღრმავების გზაზე.

და ახლაც, როცა ჩვენთან ვიზიტად არის საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც ამხანაგი ხრუშჩოვი მეთაურობს, გვინდა ურთიერთსაინტერესო ფართო წრის საკითხებთან ერთად განვიხილოთ ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის პრინციპული საკითხები და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივები. ამრიგად ჩვენი მოლაპარაკება განგრძობაა იმ მოლაპარაკებისა, რომელსაც გასული წლის ნოემბერში აწარმოებდა მოსკოვში ჩვენი პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, როცა, როგორც იცით, ხელი მოვაწერეთ ოქმს საბჭოთა კავშირთან კავშირის შესახებ ჩვენი ხელშეკრულების შემდგომი 20 წლით გაგრძელების შესახებ.

ჩვენი განვითარებული ეროვნული ეკონომიკისათვის, რომელსაც შეზღუდული ნედლეულის ბაზა და შედარებით ვიწრო საშინაო ბაზარი აქვს, საბჭოთა კავშირთან და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს დანარჩენ ქვეყნებთან საერთაშორისო სოციალისტური კოოპერაციისა და შრომის განაწილების საკითხს მთავარი მნიშვნელობა აქვს, და ამ განვითარებაზე ბევრი რამაა დამოკიდებული ჩვენთვის.

საბჭოთა კავშირთან ურთიერთ ეკონომიური თანამშრომლობის დადასტურებაა ძირითადი ნედლეულის იმპორტი, რომელიც 68,5 პროცენტით უზრუნველყოფს ჩვენს მოთხოვნილებას რკინის მადაზე, 91 პროცენტით — ნავთობზე, 16,7 პროცენტით — ენერგეტიკულ ქვანახშირზე, 41 პროცენტით — ბამბაზე; ეს იმპორტი უზრუნველყოფს მარცვლეულზე ჩვენი მოთხოვნილების გადამწყვეტ ნაწილს და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩვენი ეკონომიკის სხვა დიდმნიშვნელოვან მოთხოვნილებათა უზრუნველყოფაში.

ძირითადი ნედლეული, მასალები და მარცვლეული, რომლებსაც საბჭოთა კავშირი გვაწვდის, უზრუნველყოფს ჩვენი ეკონომიკის თანაბარ განვითარებას და საბჭოთა კავშირის დიდ შეკვეთებთან ერთად ჩვენს ნაწარმზე უაღრესად დიდ გავლენას ახდენს მთელი რიგი ჩვენი საწარმოო დარგების ახლანდელ და პერსპექტიულ განვითარებაზე.

ამასთან დაკავშირებით გრძელვადიანი შეთანხმების დადება, რომ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა ქიმიურ და ნავთობის მოწყობილობის მიაწვდის საბჭოთა კავშირს 1970 წლამდე, გემებსა და გემის მოწყობილობას ამავე პერიოდში, ქმნის კარგ პირობებს იმისათვის, რომ ჩვენი მანქანათსაშენებელი წარმოების დიდმნიშვნელოვანი დარგებისათვის უზრუნველყოფილ იქნეს მათი პროდუქციის ექსპორტი. საწარმოო სიმძლავრეთა მიზანშეწონილი გამოყენება და უფრო ინტენსიური ტექნიკური რეკონსტრუქციის განხორციელების შესაძლებლობა. მეორე მხრივ, ჩვენი საკუთარი ქიმიისა და სხვა დარგების განვითარებას უზრუნველყოფს არა მარტო საბჭოთა ნავთობის სულ უფრო მზარდი მიწოდება, არამედ, საბჭოთა კავშირიდან ჩეხოსლოვაკიაში გაზსადენის მშენებლობის შესახებ შეთანხმების საფუძველზე, ბუნებრივი გაზის მიწოდებაც. რომლის მეტად მცირე მარაგი ჩვენში ვერ დააკმაყოფილებდა ჩვენს საჭიროებებს. ამასთან ფართოლინდგაინი რკინგზის ერთობლივი მშენებლობა საბჭოთა კავშირის საზღვრიდან კოშიცემდე, რომლის აგება უკვე დაიწყო და მთლიანად წარმატებით გრძელდება, ახალი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია საქონლის უფრო ეფექტიანი და უკეთესი გადაზიდვის საქმეში. ასეთივე მნიშვნელოვანი პროგრესია შეთანხმება მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმების კოორდინაციის შესახებ.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ჩვენი პერსპექტიული განვითარება 1970 წლამდე ემყარება საბჭოთა კავშირთან ჩვენი საგარეო ეკონომიური ურთიერთობის მთელ რიგ ძირითად საკითხთა დამუშავებას. დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან ახლანდელი მოლაპარაკების შედეგები ახალი დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნება ჩვენი სოციალისტური საზოგადოების განვითარების, სოციალისტური ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ძმური ერთობისა და თანამშრომლობის გაღრმავების საქმეში.

შემდეგ ა. ნოვოტნი შეეხო ჩეხოსლოვაკიის საშინაო მდგომარეობას, მისი ეკონომიკის განვითარების მიმდინარე საკითხებსა და 1966-1970 წლების ახალი ხუთწლედის ამოცანებს.

წარმატებითი წინსვლა ყველა ჩვენი საშინაო ამოცანის გადაჭრის საქმეში განუყრელად დაკავშირებულია საერთაშორისო მდგომარეობის საერთო განვითარებასთან და მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სოციალისტური ქვეყნებისა, და მთელი ანტიიმპერიალისტური და მშვიდობისმოყვარე ძალების გადამწყვეტ ბრძოლასთან მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისათვის, გამანადგურებელი თერმოიბერნული კონფლიქტის თავიდან აცილებისათვის.

საბჭოთა კავშირთან სრული თანხმობით ჩვენ ვიცავთ იმ თვალსაზრისს, რომ საჭიროა ყურადღებით ვადევნოთ თვალი ახლანდელ საერთაშორისო ვითარებას და ხალად შევაფასოთ იგი ყველა მისი დადებითი და უარყოფითი ნიშნებით, პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ პირველ შედეგებს, რომლებიც მიღწეულია იმ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად. რომელთა მიზანია მშვიდობიანი თანაარსებობის ურთიერთობის დამყარება სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოებს შორის.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პირველი ნიშნები მხოლოდ დაწყებითი სტადიაა სოციალისტური ქვეყნების მიზანდასახულ ღონისძიებებში გადაუჭრელ მსოფლიო პრობლემათა მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის, და ჩვენ ჯერჯერობით არა გვაქვს თვითდამშვიდების ან უდარდელობის საბაბი. ამიტომ ყველა სოციალისტური ქვეყანა და მშვიდობის ძალები უნდა შეკავშირდნენ და კვლავაც ყოველი ღონე იხმარონ, რომ მიაღწიონ პროგრესს საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, მთელი რიგი სადავო საერთაშორისო საკითხთა მშვიდობიანი გადაჭრისათვის ბრძოლაში.

განსაკუთრებით უკანასკნელი საერთაშორისო მოვლენები მოითხოვს ჩვენგან სიფხიზლეს, რადგან ახლა მოწმენი ვართ ერთობ საშიში მოქმედებისა დედამიწის სხვადასხვა ნაწილში, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობას. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ახალი კამპანია გაიჩაღეს კუბის წინააღმდეგ და ადგილად გამოსაცნობი საბაბით აიძულეს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების IX საკონსულტაციო თათბირი მოეწოწებინოს და მიიღო რამდენიმე უკანონო რეზოლუცია, რომლებითაც გათვალისწინებულია ახალი მტრული ღონისძიებანი კუბისა და მისი ხალხის წინააღმდეგ.

იმპერიალისტებმა, რომლებიც ცდილობდნენ გაეფართოებინათ სავსებით წარუმატებელი ბრძოლა სამხრეთვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, უკანასკნელი კვირეების მანძილზე განახორციელეს აგრესიული მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ, რომელიც დაკავშირებული იყო სამხედრო და დიფერსიული მოქმედების გეგმებთან, როგორც ამ სოციალისტური ქვეყნის წინააღმდეგ, ისე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მშვიდობისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ. და, ვინაიდან, მადა ჭამაში მოდის, ზოგიერთს ჭვონია, რომ დიდ სახელმწიფოს უფლება აქვს „დასჯოს“ პატარა სახელმწიფო. ეს მეთოდები, რომლებიც ტონკინის ყურეში გამოიყენეს, თურქეთის ბომბდამშენებმაც გამოიყენეს, რომლებიც თავს დაესხნენ კვიპროსის მშვიდობიან სოფლებსა და მოსახლეობას, ძალით ემუქრებოდნენ, რათა შეეშინებინათ ხალხი, რომელიც იბრძვის თავისი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

გასაკვირი არ არის, რომ ყველა ამ მოქმედებამ მსოფლიოში სერიოზული შეშფოთება გამოიწვია, ვინაიდან მათ ერთი საერთო მიზანი აქვთ: თავს მოაბეზონ იმპერიალისტთა სურვილები იმ ქვეყნებს, რომლებიც ესწრაფვიან დამოუკიდებელ განვითარებასა და შეიარაღებული ინტერვენციით ჩაახშონ ამ ქვეყნების მისწრაფება თავისუფალი ცხოვრებისადმი. მათ შეუძლიათ კვლავ შექმნან უაღრესად დაძაბული მდგომარეობა მსოფლიოში.

ჩეხოსლოვაკიელმა ხალხმა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობამ გადაკვრით დაგმეს იმპერიალისტთა აგრესიული მოქმედება, რომელიც უკანასკნელ დროს მოხდა. ამ საკითხში ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს საბჭოთა კავშირს და ნამდვილ ინტერნაციონალურ სოლიდარობას ვუცხადებთ ყველა ხალხსა და ქვეყანას, რომლებიც იბრძვიან იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ, იცავენ ხალხის თავისუფალი განვითარების ხელშეუვალ ეროვნულ უფლებას.

ეს ჩვენი მტკიცე და პრინციპული პოზიცია შეესაბამება ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ ხასიათს. იგი ჩვენი ხალხის ინტერნაციონალური სიმყიფის შედეგი და სოციალისტური ქვეყნების მსოფლიო თანამეგობრობის უძლეველი ძალის განუყოფელი ნაწილია.

ვითვალისწინებთ რა მსოფლიოში შექმნილ რეალურ ვითარებას, ვისურვებდით, რომ მშვიდობისმოყვარული პოზიცია შეეთვისებინა აგრეთვე ჩვენს დასავლეთ მეზობელს — გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას.

**ჩვენ უკვე არაერთხელ გავაფრთხილეთ და მთელი სერიოზულობით მივაქციეთ ყურადღება ზოგიერთ საშიშ ტენდენციას, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გრძელდება და რომელიც ამწვავებს მდგომარეობას არა მარტო ცენტრალურ ევროპაში,

ამხანაგ ა. ნოვოტნის სიტყვა

(დასასრული)

ეს მოთხოვნები მუდამ აშკარად ისმის სხვადასხვა რევანშისტულ შეკრებებზე დასავლეთ გერმანიაში. და ბონის მთავრობა მათ სულაც არ ემიჯნება. დასავლეთ გერმანიის მმართველი წრეების პოზიციას მოწმობს აგრეთვე მათი თავისებური რეაქცია ჩვენს მოთხოვნაზე, რომელმაც მიზანს მიაღწია, და, რომელსაც ჩვენ არაერთგზის გამოვხატავდით იმ მიზნით, რომ, თუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მართლაც დაინტერესებული, რომ მშვიდობიანად მოაწესრიგოს ურთიერთობა ჩეხოსლოვაკიასთან, პირდაპირ განაცხადოს უარი მიუნხენის ხელშეკრულებაზე. მაგრამ ჩვენ მივიღეთ სანახევრო პასუხი და არაფრისმთქმელი განცხადება, თითქოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ჩეხოსლოვაკიას არ ედავება ტერიტორიულ საკითხებზე, ამასთან მიუნხენის ხელშეკრულების საკითხს მან ბუნდოვნად აუარა გვერდი და მის მიმართ არ დაიკავა ნათელი უარყოფითი პოზიცია.

ასეთ ხრიკებსა და „დამამშვიდებელ" განცხადებებს არ შეუძლია დაგვამშვიდონ და მით უმეტეს დაგვაჯერონ, რომ დასავლეთ გერმანიის მთავრობის წრეებს კონსტრუქტიული განზრახვები აქვთ, განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ მიუნხენის შეთანხმების „ქმედითობის" მთავარი მომხრე მინისტრი ზეებომი კვლავ ბონის მთავრობის წევრია.

ამიტომ ჩვენ მომავალშიც მოვითხოვთ, რომ გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ნათლად დაადასტუროს, ისე, როგორც ეს უკვე დიდი ხანია დაადასტურეს სხვა ქვეყნებმა, ის საყოველთაო აღიარებული ფაქტი, რომ მიუნხენის შეთანხმებას არც ჰქონია და არც ექნება პოლიტიკური და იურიდიული ძალა. ამასთან, ჩვენ საკუთარი საფუძვლიანად მოვითხოვთ, რომ დასავლეთ გერმანიის მთავრობამ აქედან შესაფერისი პოლიტიკური და იურიდიული დასკვნები გამოიტანოს ჩეხოსლოვაკიის მიმართ და გააუქმოს ზოგიერთი კანონი და დადგენილება, რომლებიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დღემდე მოქმედებენ მიუნხენის შეთანხმების საფუძველზე.

ეს დაადასტურებდა აგრეთვე, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა აპირებს კეთილმეზობლურად იცხოვროს ჩეხოსლოვაკიასთან და შექმნას ხელსაყრელი პოლიტიკური ბაზა ურთიერთობის მშვიდობიანი განვითარებისათვის. ჩვენდა თავად, ჩვენ მზადა ვართ მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის და ყველა იმ წინაპირობის შექმნისათვის, რომლებიც საჭიროა მეორე მსოფლიო ომის შედეგების მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის გერმანიის საზავო ხელშეკრულებისა და დასავლეთ ბერლინის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების საფუძველზე.

მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში შემდგომი გამარჯვებებისა და ახალი წარმატებებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალისტური ქვეყნებისა და მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობასა და საერთო მოქმედებას, იმ გენერალური ხაზის საფუძველზე, რომელიც გამართლდა და რომელიც მიიღო ყველა მომე კომუნისტურმა პარტიამ და დასაბუთა 1957 წლის დეკლარაციამ და 1960 წლის განცხადებამ. ამ ხაზის ქმედითი ძალა ის არის, რომ მას შთამაგონებელ და მტკიცე იდეურ საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XX ყრილობის ხედაწყვეტილებანი, რაც ჩვენი ეპოქის ყველა ძირითადი საკითხის შემოქმედებითი, ლენინური დამუშავებაა, და ამიტომ შეტანილია მოსკოვის 1957 და 1960 წლების თათბირების ორივე დოკუმენტში.

კომუნისტური და მუშათა პარტიების დიდი უმრავლესობის ამ რწმენის წინააღმდეგ დოგმატიზმის, გულუბვიადი დიდმპყრობელური მისწრაფებებისა და სექტანტობის პოზიციებიდან გაილაშქრნენ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებმა და მთელი რიგი კომუნისტური პარტიების ზოგიერთმა წარმომადგენელმა, რომლებიც დაადგნენ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გათიშვის გზას, თავს ესხმიან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მის ხელმძღვანელობას, განსაკუთრებით ამხანაგ ხრუშჩოვს, აგრეთვე მთელი რიგი მარქსისტულ-ლენინური პარტიების ხელმძღვანელობას, მათ შორის ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობასაც.

ასეთ ვითარებაში ყველა ნამდვილი მარქსისტი-ლენინელი სავსებით საფუძვლიანად იმალლებს ხმას და მოითხოვს, რომ უახლოეს დროში განხორციელდეს ღონისძიებანი საერთაშორისო კომუნისტური ერთობის აღდგენისა და განმტკიცებისათვის საერთო ხაზის საფუძველზე. ეს პოზიცია დაკონკრეტებული იყო მტკიცე მოთხოვნით დაუყოვნებლივ მოგვეწვია კომუნისტური პარტიების ახალი საერთაშორისო თათბირი, რომელიც დაწვრილებით განიხილავდა მსოფლიოს დღევანდელ განვითარებას და გამოიტანდა პრინციპულ თეორიულ-პრაქტიკულ დასკვნებს. ეს დასკვნები განზოგადებული იქნებოდა ერთობლივ დოკუმენტში, რომლითაც იხელმძღვანელებდა ყველა კომუნისტური პარტია თავის მუშაობაში. ამასთან ერთად თათბირზე საერთო მეცადინეობით გამოირკვეოდა საშუალებანი, რომლებითაც შეიძლებოდა თანდათანობით აღმოგვეფხვრა უთანხმოებანი და გაგვემტკიცებინა მარქსისტულ-ლენინური პარტიების მოქმედების ერთიანობა.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ იგი ყველა ჩეხოსლოვაკიელი კომუნისტისა და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მშრომელთა სახელით მოქმედებდა, როცა სავსებით დაუჭირა მხარი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წინადადებას, რომელიც წამოაყენა მომმე პარტიებთან კონსულტაციის შემდეგ და რომლის თანახმად მომდინარე წლის 15 დეკემბერს მოსკოვში მუშაობას დაიწყებს 26 კომუნისტური პარტიის წარმომადგენელთა სარედაქციო კომისია. აღნიშნული დროისათვის ჩვენი პარტია მოსკოვს გაგზავნის თავის დელეგაციას და ისევე, როგორც წარსულში, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს იმ დოკუმენტების მომზადებისათვის პასუხსაგებ მუშაობაში, რომლიც 1957 წლის დეკლარაციისა და 1960 წლის განცხადების საფუძველზე, კომუნისტური მოძრაობის საერთო საპროგრამო პლატფორმა იქნება. მარქსისტულ-ლენინური პარტიების ერთიანი რევოლუციური ნება და ლენინური პრინციპულობა, რა თქმა უნდა, დადებით გავლენას მოახდენს ახალი საერთაშორისო კომუნისტური თათბირ[illegible] მომავალ წელს, რომელიც, მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით განამტკიცებს მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის საბრძოლო კავშირს მშვიდობისა და კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ საბჭოთა ხალხთან ჩეხოსლოვაკიელი ხალხის მტკიცე შეკავშირება, ისევე როგორც ჩვენი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მტკიცე ერთობა, ყველაზე დიდ რწმენას გვანიჭებს მშვიდობისათვის, კომუნიზმისათვის, ჩვენი სოციალისტური რესპუბლიკის ხალხთა ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის ბრძოლაში.

ამიტომ ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობა კვლავაც გრანიტივით მტკიცე იქნება და ჩვენი სამშობლოს ახლანდელ და მომავალ თაობათა შეგნებაში უდიდეს განძად დარჩება.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მძლავრი საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის გზაზე! გაუმარჯოს მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომელსაც ამხანაგი ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი ხელმძღვანელობს!

გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მარადიულ მეგობრობას!

მთელი ძალები მოვახმაროთ ჩვენი სოციალისტური რესპუბლიკის განვითარებასა და განმტკიცებას.

გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას!

სოციალისტური ქვეყნების ერთობით, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობით წინ მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ!

* * *

შემდეგ მიკროფონთან მიდის ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. მოედანზე გრიალებს ტაში.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო **ნოვოტნი!**

ძვირფასო ამხანაგო **ლენარტ!**

პატივცემულო ამხანაგებო, მეგობრებო — ქალაქ პრაღის მცხოვრებლებო!

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია მომმე ჩეხოსლოვაკიაში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით. გულითად მადლობას გიძღვნით ამ მეგობრული მოწვევისათვის.

ნება მიბოძეთ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით, საბჭოთა მთავრობის, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით მხურვალედ მივესალმო ჩვენს ჩეხოსლოვაკიელ მეგობრებსა და ძმებს და ახალი წარმატებანი ვუსურვო სოციალიზმის მშენებლობაში.

ნება მიბოძეთ აგრეთვე სულითა და გულით მადლობა ვუძღვნა პრაღის — თქვენი შესანიშნავი დედაქალაქის მცხოვრებლებს "იმ უაღრესად გულთბილი, ენუშარიტად ძმური მიღებისათვის, რომელიც აღმოგვიჩინეთ ჩვენ, საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს.

მოხარული ვართ თქვენთან ერთად მივიღოთ მონაწილეობა სლოვაკიის ეროვნული აჯანყების მეოცე წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში. ეს თარიღი ღირსშესანიშნავი მოვლენაა ფაშიზმის წინააღმდეგ ჩვენს ერთობლივ ბრძოლაში, ამ ბრძოლაში ჩვენი ძმობისა და ერთიანობის დღესასწაულია.

ყველას გვახსოვს, თუ როგორ იწრთობოდა ჩვენი ხალხების საბრძოლო მეგობრობა და ძმობა იმ გმირულ დღეებში სისხლისმღვრელ ბრძოლებში, როგორ ეყრებოდა საფუძველი თავისუფალი სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის მომავალს. აი რატომ აღვნიშნავთ სლოვაკიის აჯანყების სახელოვან 20 წლისთავს როგორც მოვლენას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩეხოსლოვაკიელი ხალხის განმთავისუფლებელ ბრძოლაში, არამედ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის განვითარებაშიც.

სლოვაკიის მიწა-წყალზე მხარდამხარ იბრძოდნენ მრავალი ეროვნების ხალხები. ეს საბრძოლო თანამეგობრობა სამარადისოდ შევა ისტორიაში, როგორც შესანიშნავი მაგალითი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლით გაერთიანებული ხალხების ერთობის და შეკავშირებისა.

დაღუპულ მეომართა და პარტიზანთა ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში. ჩვენი შვილები, ჩვენი შთამომავალნი უდიდესი მადლიერებით მოიგონებენ გმირებს, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს ხალხის თავისუფლებასა და ბედნიერებას. ისინი როგორც მარად ცოცხალნი შევლენ კომუნიზმის ნათელ სამყაროში.

სასიხარულოა, რომ ჩვენი ხალხების დიდი ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ განმათავისუფლებელ ომში, მათი სისხლი და მსხვერპლი ამაო არ ყოფილა. თავისუფალი გახდა სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის ხალხთა ცხოვრება, კიდევ უფრო კარგია მათი მომავალი.

უკვე ორი ათწლეულია ჩეხოსლოვაკიელი ხალხი მიდის წინ სოციალიზმის გზით. და საბჭოთა ადამიანებს — თქვენს გულწრფელ მეგობრებს — დიდად ახარებთ წარმატებანი, რომლებიც ახალი ცხოვრების მშენებლობაში მოიპოვეთ. სოციალიზმმა ჩეხოსლოვაკიის მოუტანა ეკონომიკის ძლავრი აღმავლობა: სამრეწველო წარმოების ომამდელი დონე გადაჭარბებულია ოთხნახევარჯერ და მეტად. ამ ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში ეროვნული შემოსავალი 2,6-ჯერ გაიზარდა. ჩეხოსლოვაკია ხომ ომამდეც განვითარებული სამრეწველო ქვეყანა იყო. ახლა სოციალისტური ჩეხოსლოვაკია საწარმოო ძალების მძლავრი განვითარების, ეკონომიკის აღმავლობის, კულტურის აყვავების, ახალი საზოგადოების მშენებელ მშრომელთა იდეური შეკავშირების მკაფიო მაგალითია. დიდი გამარჯვებანი, რომლებიც ჩეხოსლოვაკიელმა ხალხმა მოიპოვა, მიღწეულია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტთა სახელოვანი პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის სწორი პოლიტიკისა და უნარიანი ხელმძღვანელობის მეოხებით, ცენტრალური კომიტეტისა, რომელსაც მეთაურობს ჩეხოსლოვაკიისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე ამხანაგი ანტონინ ნოვოტნი. საბჭოთა ადამიანები მხურვალედ უსურვებენ მომმე ჩეხოსლოვაკიის ხალხებს ახალ დიდ წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის დიდ საქმეში.

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობას სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ სახელმწიფოთა ნამდვილად თანასწორუფლებიანი, სოციალისტური ურთიერთობის შესანიშნავი ნიმუში. თვით ცხოვრება დადასტურებს, რომ საჭიროა სოციალიზმის ქვეყნების აქტიური ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა. ერთად უფრო ადვილია ვიაროთ გაუკვალავი გზებით, უფრო ადვილია დავძლიოთ სიძნელენი. ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ ერთიან ოჯახად უფრო ადვილია ცხოვრება, ვიდრე მარტო. კოლექტიური მეცადინეობა, შრომის გონივრული დანაწილება სოციალიზმის ქვეყნებს შორის სოციალისტური სისტემის ერთ-ერთი გადამწყვეტი უპირატესობაა კაპიტალიზმთან შედარებით, არ გამოვიყენოთ ეს უპირატესობა, ნიშნავს იმას, რომ ხელოვნურად შევაფერხოთ სოციალიზმის საწარმო ძალების განვითარება.

დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ეკონომიური თანამშრომლობა წლითიწლობით წარმატებით ვითარდება, სულ უფრო აჩქარებს ჩვენს ერთად წინსვლას კომუნიზმისაკენ. ვფიქრობ, გესიამოვნებათ გაიგოთ, რომ ჩეხოსლოვაკიის მეწყობილობა და მანქანები, რომლებიც გაკეთებული ჩეხოსლოვაკიელ მუშათა შრომისმოყვარე და მარჯვე ხელით, დადგმულია მოსკოვისა და ლენინგრადის, უკრაინისა და ამიერკავკასიის, ბალტიისპირეთისა და ცაიმბირის საწარმოებში. თქვენი ელმავლები და მიწასაწოვი მანქანები მუშაობენ ვოლგაზე, ანგარასა და ენისეზე. ჰკითხეთ თქვენს დაუღალავ მოგზაურებს ირეკ განზელკასა და მიროსლავ ზიკმუნდს, რომლიც ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობენ, და ისინი გიამბობენ, თუ რა გულთბილად იხსენიებენ საბჭოთა ადამიანები ჩვენს თანამშრომლობას, შესანიშნავ ჩეხოსლოვაკიურ მოწყობილობას.

ჩვენ ხალისით ვყიდულობთ ჩეხოსლოვაკიისაგან ქიმიური მანქანათმშენებლობის პროდუქციას. იგი მნიშვნელოვნად გვეხმარება სახალხო მეურნეობის ქიმიზაციაში, ეს კი, როგორც იცით, ჩვენთვის არის კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა. უკანასკნელ თხუთმეტ წელიწადში ვაკრძალთ მოცულობა ჩვენს ქვეყნებს შორის თითქმის შვიდჯერ გაიზარდა. ახლა ჩეხოსლოვაკია გახდა ჩვენი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო პარტნიორი და მეორე ადგილი უკავია საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობაში.

თავის მხრივ საბჭოთა კავშირი ჩეხოსლოვაკიას აწვდის სხვადასხვა სახეობის მანქანებსა და მოწყობილობას, რკინის მადანსა და ნავთობს, ბამბასა და მარცვალს და ბევრ სხვა საქონელს.

როცა ფართოდ უზიარებენ ერთმანეთს ეკონომიური და კულტურული მშენებლობის გამოცდილებას, ჩვენი პარტიები ხელმძღვანელობენ იმით, რომ ჩვენი ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება მნიშვნელოვნად აჩქარებს სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ტემპს. ეს უდავო ისტორიული ფაქტია.

ავიღოთ, მაგალითისათვის, ჩვენი ქვეყანა — საბჭოთა კავშირი. ყველამ იცის, რომ ჩვენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მარტო ვაშენებდით სოციალიზმს, მკაცრი ეკონომიური ბლოკადის პირობებში, რომელიც მთავრმა კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა დააწესეს. ზედმეტი იყო იმედი გვქონოდა გარედან დახმარების და მხარდაჭერისა და არა მარტო მხარდაჭერისა, არამედ ლოიალური თანამშრომლობისა კაპიტალისტებთან. მათთან გარანტირებული ვაჭრობისა. დიდი გულისტკივილით ამბობდა ვ. ი. ლენინი იმ წლებში, რომ არც ერთ ცივილიზებულ სახელმწიფოს არ სურს დაგვბმაროს. პირიქით, მათ სურდათ მხოლოდ ერთი რამ — საბჭოთა ხელისუფლების უსწრაფესი დაღუპვა, დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდნენ ჩვენს წინააღმდეგ.

ყოველივე ამან წარმოშვა უდიდესი სამეურნეო სიძნელეები, რომელთა დაძლევა ჩვენს ხალხს უხდებოდა სოციალიზმის მშენებლობის მსვლელობაში. ჩვენ გაუკვალავი გზებით მივდიოდით, და ამიტომ ჩვენი წარმოების ხარჯები, საჭირო ძიება და ექსპერიმენტრება დამატებით ტვირთად აწვებოდა მშრომელებს. ჩვენ იძულებული ვიყავით ოქროთი აგვანაზღაურებინა ბურჟუაზიულ სპეციალისტთა შრომა. ძვირად გვიჯდებოდა მათი დახმარება, ვაძლევდით მათ კვების საუკეთესო პროდუქტებს, რომლებსაც ჩვენ ბავშვებს ვართმევდით. კაპიტალისტები სამჯერ უფრო ძვირად გვახდევინებდნენ თითოეული ნაყიდი ხრახნისათვის, თითოეული ჩარხისათვის. აი რა პირობებში ვაშენებდით სოციალიზმს.

სოციალისტური სისტემის შექმნის შედეგად მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა. სოციალისტურ სახელმწიფოებს სრული შესაძლებლობა აქვთ ახლა გონივრულად გაანაწილონ თავიანთი ღონისძიებანი, მოაგვარონ შრომის სოციალისტური დანაწილება თითოეული ქვეყნის ეროვნულ ინტერესთა და სუვერენულ უფლებათა მტკიცე გათვალისწინებით. ეს არის ჩვენი საერთო. ეკონომიური განვითარების დაჩქარების, თითოეული ხალხის ცხოვრების დონის ზრდის, კომუნიზმისაკენ უსწრაფესი წინსვლის დაუშრეტელი წყარო.

რა თქმა უნდა, შრომის დანაწილება სოციალისტურ ქვეყნებს შორის იოლი საქმე როდია. აქ წარმოიშობა ბევრი სიძნელე და ბევრი პრობლემა, რომლებიც მოითხოვენ შეუნელებელ ყურადღებას. მაგრამ ეს არის ზრდის სიძნელეები, სიძნელეები, რომლებიც წარმოიქმნება ახალი გზების, ახალი მეთოდების, თანამშრომლობის ახალი ფორმების ძიების დროს. ამ სიძნელეებს არ უნდა შევუშინდეთ, ბეჯითად უნდა დავძლიოთ ისინი.

ჩვენს წინაშე იასახება თანამშრომლობისა და პროგრესის ფართო ჰორიზონტები. საჭიროა მხოლოდ უნარიანად გამოვიყენოთ უკვე არსებული შესაძლებლობანი. და თუ ჩვენ ამას ვიზამთ, მაშინ კიდევ უფრო სწრაფი ნაბიჯით წავალთ წინ.

ძვირფასო ამხანაგებო!

როცა ჩვენ, კომუნისტები, გაერთიანებული ღონისძიებებით ვაშენებთ სოციალიზმის დიდებულ შენობას, ვადგენთ მომავლის გეგმებს, ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქმე გვაქვს არა მარტო მეგობრებთან, არამედ მტრებთანაც. ამიტომ მოვალენი ვართ მუდამ ვიზრუნოთ ჩვენი ქვეყნების თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, დავიცვათ სოციალიზმის მონაპოვრები, დავიცვათ ქვეყნად მშვიდობა.

ხალხებმა საკუთარი გამოცდილებით იციან, თუ რა არის ომი. ჩვენ გვესმის, თუ რა გამოუსწორებელი კატასტროფა იქნებოდა თანამედროვე პირობებში ახალი მსოფლიო ომი, რა აურაცხელი მსხვერპლს მოგვიტანდა იგი. ამიტომ ვამბობდით და მუდამ გავიმეორებთ, რომ მშვიდობის უზრუნველყოფა თანამედროვეობის მთავარი, საარსებო პრობლემაა.

იფიქრეთ, რა დაუჯდა კაცობრიობას ორი უკანასკნელი მსოფლიო ომი. ან ომებს შეეწირა სამოცი მილიონი კაცი. ვინ დახოცა ეს ადამიანები? ისინი დახოცეს იმპერიალისტებმა, მხედრიონმა, რასისტებმა — შავბნელმა ძალებმა, რომლებმაც ორი მსოფლიო ომი გაანაღეს. სანამ ეს ძალები არიან და მოქმედებენ, არ შეიძლება ვიყოთ სავსებით დამშვიდებული ჩვენი ხალხების ბედისათვის, მათი მომავლისათვის. მშვიდობისათვის ბრძოლა ხალხთა წმიდათაწმიდა მოვალეობაა.

რა თქმა უნდა, ახლა 1914 და 1939 წლები როდია. მშვიდობისა და სოციალიზმის ძალები ისე გაიზარდნენ, რომ სულ უფრო მეტად განსაზღვრავენ მოვლენათა მსვლელობას საერთაშორისო მასშტაბით. სიტვოა, რომ ეს სიამოვნებას გვრიდეს იმპერიალისტებს, მაგრამ ისინი იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ ძალთა თანაფარდობას თანამედროვე მსოფლიოში.

მშვიდობიანი თანაარსებობის აქტიური პოლიტიკის შედეგად მარტო ამ უკანასკნელ ხანს მივაღწიეთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების მიღებას. უკვე წელიწადზე მეტია არ ეწყობა ატომური იარაღის გამოცდა სამ სფეროში; ატომურ იარაღს დახშული აქვს გზა კოსმოსში; შემცირდა სამხედრო მიზნებისათვის განკუთვნილი ხელჩადი მასალების წარმოება. ჩვენ, რა თქმა უნდა, მშვენივრად გვესმის, რომ ყველა ეს ღონისძიება ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს მტკიცე და საიმედო მშვიდობას. მაგრამ მაინც არ შეიძლება არ მივესალმოთ ამ პირველ ნაბიჯებს, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ თუ არის ორივე მხარის კეთილი ნება, შეიძლება თუნდაც ყველაზე რთული პრობლემების გადაჭრა. ეს გვაიმედებს, რომ გაიმარჯვებს გონივრული პოლიტიკა, რომ ატომური მუხტების მარაგის ნაცვლად სახელმწიფოთა შორის თანდათანობით გაიზრდება ნდობის მარაგი, რომელიც ესოდენ საჭიროა მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

ჩვენ, რა თქმა უნდა, უურადღებით უნდა ვადევნოთ თვალი მოვლენათა განვითარებას, ჩვენ ვიცით, რომ მთელ რიგ სახელმწიფოებში და, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებში კვლავ გააქტიურდნენ იმპერიალისტთა ძალები, რომლებიც მტრულად არიან განწყობილი მშვიდობის ინტერესებისადმი. ამ ბოლო თვეებში გაჩნდა სიშში ნიშნები იმისა, რომ კვლავ ძლიერდება დაძაბულობა საერთაშორისო ურთიერთობაში.

აი უკვე რამდენიმე წელია ამერიკელი იმპერიალისტები ყაჩაღურ ომს აწარმოებენ ვიეტნამის გმირი ხალხის წინააღმდეგ. ამას წინათ მსოფლიომ გულისწურომით შეიტყო, რომ ამერიკის ავიაციამ დაბომბა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სანაპირო. ამერიკის იმპერიალიზმის დანაშაულებრივი მოქმედება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების უხეში დარღვევა, სხვა სახელმწიფოთა საქმეებში უკანონო ჩარევაა.

საბჭოთა კავშირი ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან ერთად სავსებით უჭერს მხარს ვიეტნამელი ხალხის გმირულ ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ჩვენ გადაჭრით ვგმობთ ამერიკელი იმპერიალისტების აქციებს, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს უაღრესად სერიოზული შედეგი მშვიდობის საქმისა და ხალხთა უშიშროებისათვის. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა სოციალიზმის მძლავრ ბანაკში შედის და მის დასაცავად აღსდგება ყველა სოციალისტური სახელმწიფო.

უკანასკნელ პერიოდში ამერიკის მხედრიონმა გააფართოვა ჩარევა აგრეთვე ვიეტნამის მეზობელი ქვეყანა—ლაოსის საქმეებში. პირდაპირ უნდა ითქვას, ამხანაგებო, რომ ლაოსის პრობლემის მოუწესრიგებლობა, ამ ქვეყნის სხვადასხვა პოლიტიკური დაჯგუფებების მძაფრი ბრძოლა, რომელიც კვლავ გაჩაღდა, ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა პროვოკაციული საქმიანობის უშუალო შედეგია. მათ სურთ შეინარჩუნონ თავიანთი გავლენა ლაოსში, ლაოსელი ხალხი კი იძულებულია ამისთვის პასუხი აგოს თავისი სისხლით, დანგრეული სოფლებით.

ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ამერიკის შეერთებული შტატების უმცროსი სამხედრო პარტნიორი ნატოში — თურქეთი თავს დაესხა კვიპროსის რესპუბლიკას. თურქეთის სამხედრო ავიაციამ მარბარბოსულად დაბომბა კვიპროსის ტერიტორია, რის შედეგად დაშავდა ასობით მშვიდობიანი მცხოვრები — ქალი, მოხუცი და ბავშვი.

საბჭოთა მთავრობას, საბჭოთა ადამიანებს არ შეუძლიათ გულგრილი დარჩნენ კვიპროსელთა ბედისადმი. საბჭოთა კავშირს არ შეუძლია უურადღება არ მიაქციოს შეიარაღებული კონფლიქტის საფრთხეს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ჩვენი სამხრეთ საზღვრების მახლობლად: ჩვენ გულახდილად უნდა გავაფრთხილოთ ზოგიერთი ფიცხი ადამიანი: ბატონებო, თქვენ სიშში საქმე წამოიწყეთ, შეჩერდით, სანამ გვიან არ არის. ყველა აგრესიული მოქმედება შეიძლება ცუდად დამთავრდეს იმათთვის, ვინც მათ წამოიწყებს, ცუდად დამთავრდეს საერთაშორისო აჯანყებისა და მუშტის უფლების ყველა მომხრისათვის.

ამას წინათ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის თათბირზე გაიტანეს პროგრაციული გადაწყვეტილება კუბის რესპუბლიკის წინააღმდეგ იძულებითი ღონისძიებების შესახებ, მის წინააღმდეგ შეიარაღებული ძალის გამოყენების ჩათვლით. შეერთებულმა შტატებმა დღემდე არ მოხსნეს თავისუფლების კუნძულის ეკონომიური ბლოკადა. განაგრძობენ თავიანთი მზვერავი თვითმფრინავების პროვოკაციულ ფრენას კუბის ტერიტორიაზე. ისინი აქეზებენ ემიგრანტი ნაძირალების ავანტიურ თავდასხმებს კუბის რესპუბლიკის სამრეწველო ობიექტებსა და დასახლებულ პუნქტებზე.

საკითხავია, ვინ მისცა ამერიკელ იმპერიალისტებს უფლება უხეშად გათელონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება? მათ არ მოსწონთ კუბის რესპუბლიკის საზოგადოებრივი წყობილება? მაგრამ ეს არავითარ საფუძველს არ აძლევთ ეკონომიური სანქციებისა და სამხედრო მუქარისათვის. მთელი პასუხისმგებლობით კვლავ უნდა განვაცხადოთ: კუბა მარტო არ არის. მის მხარეზეა საბჭოთა კავშირის, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის, მთელი პროგრესული ძალების სიმპათია და მხარდაჭერა.

რა ხდება კონგოში? იქ ხალხი მტკიცედ იბრძვის თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მაგრამ ახლა კონგოს ცაში დაფრინავენ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავები. ხალხთა რისხვას

საერთაშორისო დაკავშირებული ცხოვრება
ცხოვრება

ჩვენი პლანეტა ამ დღეებში

მოხუცების რისხვა — გოლდუოტერს

სერიოზული საფრთხე მშვიდობისათვის

საზღვარგარეთის პრესა საკვლევის განცხადების შესახებ

ბონი. „საბჭოთა მთავრობა გადაჭრით გმობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბელგიის შეიარაღებულ ჩარევას კონგოში", „ომი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბელგიის წინააღმდეგ", „იმპერიალისტური ხელმწიფეთა ომის კერას ქმნიან კონგოში" — ასეთი დიდი სათაურებით ბულგარეთის გაზეთებმა გამოაქვეყნეს საკვლევის განცხადება კონგოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

იმპერიალისტები უხეშად თელავენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „ტრუდი". კონგოელ ხალხს, განაგრძობს გაზეთი, ჰყავს ერთგული მეგობრები, რომლებიც მზად არიან დაეხმარონ მას.

ვარშავა. პოლონეთის გაზეთები თვალსაჩინო ადგილას აქვეყნებენ საკვლევის განცხადებას. გაზეთი „ეოლნეკ ვოლნოსტი" წერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბელგიის შეიარაღებული ჩარევა „სსრ კავშირმა მოგვაგონა, განაგრძობს სააგენტო, რომ კონგოელ ხალხს ჰყავს ნამდვილი მეგობრები, რომლებსაც შეუძლიათ საჭირო დახმარება გაუწიოს მას.

იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო ხაზს უსვამს საკვლევის განცხადების იმ ადგილს, რომელიც აფრთხილებს, რომ შეიარაღებული ინტერვენციის განხორციელებას შეიძლება მოაყვეს კონფლიქტის გაფართოება.

ბაირო, საკვლევის განცხადებას კონგოს საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბელგიის ჩარევის გამო, ფართოდ გამოიხმაურნენ კიარის გაზეთები. ყველა გაზეთი ხაზს უსვამს დოკუმენტის იმ ადგილს, სადაც ნათქვამია: საბჭოთა მთავრობა გადაჭრით გმობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბელგიის შეიარაღებულ ჩარევას კონგოს საშინაო საქმეებში. კონგოელ ხალხს ჰყავს ნამდვილი მეგობრები აფრიკაში და არა მარტო აფრიკაში, რომელებსაც შეუძლიათ საჭირო მხარდაჭერა აღმოუჩინონ მას. (საკ-დისი).

„მე ვნახე საბჭოთა კავშირი. მე მწამს მეგობრობა"

ინგლისელი გამომცემლის ლორდ როი ტომსონის საუბარი ახალი ამბების სააგენტოს და მოსკოვის რადიოს კორესპონდენტებთან

საბჭოთა კავშირში ჩემი ახლანდელი ვიზიტის დროს ბევრმა რამემ მოახდინა ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება, და კერძოდ უამრავ მიწებზე გამგზავრებამ. უამრავი მიწები ძალიან წააგავს კანადის პრერიებს, რომლებსაც ძალიან კარგად ვიცნობ, რამდენადაც ბრავალი წლის წინათ სოფლის მეურნეობას მივდევდი. სავსებით ცხადია, რომ წელს აქ ჩინებული მოსავალი იქნება და რომ თქვენი ქვეყანა ბევრ მარცვლს მიიღებს. იმ ციფრების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომლებიც მე მაცნობეს, მარცვალი საკმაოდ ბევრი იქნება იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირს მთელ ხეზონში ეყოს. ბატონმა ხრუშჩოვმა მითხრა, რომ მას არც კი დასჭირდება მთელი მარცვალი, რაც მან წინათ შეიხყიდა კანადისაგან. უამრავ მიწებზე უდიდესი პროგრესია მიღწეული. ათი წლის წინათ ადამიანები უამრიზე კარვებში ცხოვრობდნენ, ოქ ჯერ კიდევ არ იყო საცხოვრებელი სახლები. დღეს კი ცელსინოგრადი თანამედროვე ქალაქია, რომლის ქუჩების გაყოლებით აშენებულია მშვენიერი საცხოვრებელი სახლები. აქ არის მეყამირეთა საუცხო სასახლე, მრავალად შექმნილია მოხერხებული პირობები, რაც ჩვეულებრივ ძველ ქალაქებშია ხოლმე.

ყველგან, სადაც ჩვენ ვიყავით, ადამიანები ენთუზიაზმით მუშაობენ, და მათ ძალიან ახარებს უდიდესი წარმატებები, რომლებსაც მათ მიაღწიეს. დარწმუნებული ვარ, რომ უამრი მიწები საბჭოთა კავშირის ბელელი გახდება.

ჩემი საუბრები ბატონ ხრუშჩოვთან ძალიან საინტერესო იყო. ჩვენ განვიხილავდით საერთაშორისო პრობლემების ბევრ ასპექტს, და აღმოვაჩინე, რომ ბატონი ხრუშჩოვი ყოველ დროს მზად არის გასცეს პასუხი ყოველგვარ კითხვაზე. მას არასოდეს არ უთქვამს უარი ეპასუხა ჩემს მიერ მიცემულ, რომელიმე კითხვაზე. არ ყოფილა არავითარი შეზღუდვა იმ მხრივ, თუ რა შემეძლო მეთქვა და რა კითხვები მომეცა. იგი მუდამ მთლიანად უწევდა კონტროლს ვითარებას, ზუსტად იცოდა, როგორია მისი თვალსაზრისი ყველა ამ საკითხზე და თავისუფლად და ხალისით გამოთქვამდა ამ თვალსაზრისს. დარწმუნებული ვარ, რომ ინტერვიუ არ შეიძლებოდა უფრო დამაკმაყოფილებელი ყოფილიყო.

ამჟამად მსოფლიოში საქმეები დამაკმაყოფილებლად ვითარდება. დარწმუნებული ვარ, რომ ახლა საკმაოა რაც შეიძლება მეტი კონტაქტები ხალხებს შორის. დარწმუნებული ვარ, რომ რაც უფრო მეტი ინგლისელი, ამერიკელი და კანადელი ჩამოვა საბჭოთა კავშირში, რომ თვითონ ნახოს ყველაფერი, რაც აქ ხდება, მით უფრო კარგი იქნება ურთიერთგაგება, უფრო მტკიცე იქნება მეგობრობა ხალხებს შორის. მეგობრებს შორის კი ომები არ ხდება. ჩვენ გვჯერა ჩვენი სისტემისა, თქვენ გჯერათ თქვენი სისტემისა. იმედი ვიქონიოთ, რომ უკეთესი სისტემა გაიმარჯვებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს იქნება ჩვენი სისტემა, მაგრამ, შესაძლოა, ასეც არ იყოს. მე ვფიქრობ, რომ თუ ადამიანები ხედავენ ერთმანეთს, ეცნობიან ერთმანეთს, ესმით ერთმანეთის პრობლემები და რაც მთავარია — საქმეებს ეწევიან, მაშინ ეს მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისა და მეგობრობის განვითარების უდიდესი ფაქტორი ხდება. ზოგჯერ ნარჩინებული პასუხისმგებელი პირები დასავლეთში სულელურ განცხადებებს აკეთებენ, მაგრამ თვითონ ხალხებს ომი არა სურთ. მე სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ისინი არ დაუშვებენ, რომ ომი დაიწყოს. არავის, ვინც კი სრულ ჭკუაზეა, არა სურს ომი, და მე დარწმუნებული ვარ, რომ ომი არ იქნება.

ახლა ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ. უნდა ვილაპარაკოთ სამართლე, რათა ჩვენი ადამიანები უკეთ მიხვდნენ, როგორი ვითარებაა თქვენში, რათა უკეთ გაიგონ საბჭოთა ხალხის გრძნობები და განწყობილება. ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა იმან, რომ ყველგან, სადაც კი ვიყავი, ადამიანთა მიერ ჩემს მოსასალმებლად წარმოთქმული პირველი სიტყვები იყო „მშვიდობა" და „მეგობრობა". და მე ვიცი, რომ ეს ლიტონი სიტყვები როდია, დარწმუნებული ვარ, რომ ეს მათი გულწრფელი მისწრაფებაა, თუმცა ამ სიტყვებს ჩვენ ისე ხშირად და ისე უბრალოდ და თავისუფლად არ ვხმარობთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ იმასვე ვგრძნობთ. ვფიქრობ, რომ ჩემი, როგორც გაზეთების გამომცემლის, მოვალეობა ის არის, რომ ეს გრძნობები გავაცნო ჩვენს ხალხს და ვაუწყო, რომ საბჭოთა ხალხი გულწრფელად ესწრაფვის მეგობრობას. თქვენს ქვეყანაში ჩემს პირველ ვიზიტსა და მეორე ვიზიტს შორის სულ მხოლოდ 18 თვეს განვლო. მაგრამ ასეთი მოკლე პერიოდის შემდეგაც კი აქ დიდი პროგრესის ნიშნები დავინახე. მაღაზიებში გამოჩნდა საკონელი, რომელიც 18 თვის წინათ არ ყოფილა. მიღწეულია შესანიშნავი წარმატებანი საცხოვრებელი სახლების, სკოლებისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობის დარგში. ცხადი ხდება, რომ ბინების საქმე ახლა უკეთ უნდა იყოს, თუმცა ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ უკანასკნელი 18 თვის მანძილზე ცხოვრების დონე საბჭოთა კავშირში მნიშვნელოვნად ამაღლდა და არის ყველა ნიშნები, რომ იგი განაგრძობს ამაღლებას.

ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ბატონმა ხრუშჩოვმა. მან ძალიან ბევრი რამ გაიკეთა საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის გაუჯობესებისათვის. იგი გონივრულად მოქმედებდა დიდი საერთაშორისო კრიზისების დროს. მე ვფიქრობ, რომ იგი საბჭოთა ხალხის შთამაგონებელი ხელმძღვანელია.

მე ვეუბნე თქვენს კურორტებს კავკასიასა და ყირიმში და ისინი მიმზიდველი მეჩვენა. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ქვეყნის რაც უფრო მეტი ადამიანი გაეცნობა საბჭოთა კავშირს და იმ პირობებს, რომლებიც აქ დასასვენებლად ჩამოსული ადამიანებისათვის არის, მით უფრო მეტი ხალხი ჩამოვა თქვენთან ჩვენი ქვეყნიდან. ვფიქრობ, რომ გულდასმით უნდა მოვეკიდოთ ამ საკითხს. ინგლისში ბევრი ადამიანი არაერთხელ ყოფილა ძველ კურორტებზე, და მე ვფიქრობ, რომ ისინი მიესალმებოდნენ მათთვის სრულიად ახალი ადგილების ნახვას. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ხალხებს შორის კონტაქტების ისეთი სფეროა, რომელიც უნდა გაფართოვდეს ჩვენი ურთიერთ სარგებლობისათვის.

საბჭოთა სომხეთმა და საქართველომ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს. ეს რესპუბლიკები საკმაოდ აუვავებული, ადამიანები ბედნიერები ჩანან. და ისინი, უეჭველია, ყველაზე სტუმართმოყვარე ადამიანები არიან. მე გამოაცხა ამ ადამიანების სტუმართმოყვარეობამ. მათი ცხოვრება არა ბგავს იმას, რომელსაც ჩვენ მიჩვეული ვართ, და ამ მხრივაც, დარწმუნებული ვარ, დასავლეთის სამყაროს ადამიანებისათვის ძალიან საინტერესო იქნება თავიანთი შვებულება გაატარონ ამ ორ ძალიან ეგზოტიკურ რესპუბლიკაში. მე პირდაპირ არ ვიცი, კიდევ როდის მომიღია უფრო მეტი ქმაყოფილება მოგზაურობისაგან. ვაპირებ ჩამოვიყვანო თქვენთან ჩემი ქალიშვილი და შვილიშვილი. მინდა, რომ მათ, ისევე როგორც მე, მეტი იცოდნენ საბჭოთა ხალხის შესახებ. ვიცი რომ მომავალში საბჭოთა კავშირი, როდესაც დიდიც არ არის იგი ახლა, კიდევ უფრო დიდ როლს შეასრულებს საერთაშორისო ურთიერთობაში. ვფიქრობ, რომ მე და ჩემმა ოჯახმა უნდა ვიცოდეთ, და საერთოდ ყველა დასავლეთელმა ადამიანმა უნდა იცოდეს უფრო მეტი საბჭოთა ხალხზე.

საპროტესტო განცხადება

ლონდონი, 26 აგვისტო. (საკდესი). აფრიკელი ხალხის ზიზღბეგეს ეროვნულმა კავშირმა აქ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მტკიცე პროტესტს აცხადებს სამხრეთ როდეზიის რასისტული მთავრობის ახალ პოლიციურ ღონისძიებათა წინააღმდეგ.

სამხრეთ როდეზიის აფრიკელ ხალხს, ნათქვამია განცხადებაში, აყრილი აქვს ყველაზე ელემენტარული პოლიტიკური უფლებანი.

განცხადების ავტორები სამხრეთ როდეზიის ხელისუფალთა პოლიციურ ტერორს გერმანელ ნაცისტთა მოქმედებას ადარებენ დ. სმიტის რასისტულ მთავრობას ბრალად სდებენ სრულ უპასუხისმგებლობას. ისინი მოითხოვენ, რომ ინგლისმა უარი თქვას რასისტების წყენებების ახლანდელ პოზიციაზე და შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებანი სამხრეთ როდეზიის მიმართ.

ია პონელ მშრომელთა მოთხოვნა

ტოკიო, 26 აგვისტო. (საკდესი). იაპონიის პროფკავშირთა გენერალური საბჭოს გენერალური მდივანი აკირა ივაი დღეს ეწვია მინისტრთა კაბინეტის გენერალურ მდივანს სუძეიეს და 4 მილიონზე მეტი მუშის სახელით მოითხოვა, რომ იაპონიის მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ატომური ყოალვეშა ნავები არ შეუშვას იაპონიის ნავსადგურებში.

თეთრკანიანი დაქირავებულები

ნიუ-იორკი, 26 აგვისტო. (საკდესი). ჩამბეს თეთრკანიანმა დაქირავებულებმა საომარი მოქმედება დაიწყეს აჯანყებულთა ძალების წინააღმდეგ ჩრდილოეთ კატანგაში.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი ელიზაბეტვილიდან იუწყება, დღეს მათ ლეოპოლდვილის არმიის რაზმებთან ერთად იერიში მიიტანეს ქალაქ ალბერტვილზე, რომელიც აჯანყებულებმა დაიკავეს. დაქირავებულთა რაზმებში, რომლებსაც მეთაურობს ინგლისის არმიის ყოფილი კაპიტანი, შედიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, ინგლისისა და იტალიის მოქალაქეები. ისინი ჩავიდნენ ბოდუენვილიდან (კატანგა).

ბოლდუოტერს უარს ეუბნებიან

ატლანტიკ-სიტი, 27 აგვისტო. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები გ. ვასილიევი და ვ. ვაშედჩენკო იუწყებიან: 15.000 ხანში შესულმა ამერიკელმა თავი მოიყარა გუშინ დღისით „კოხეენმა-ჰოლის" დარბაზში, სადაც საღამოს მუშობას განაგრძობს ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის ყრილობა. ჭაღარა ძოხუცები ჯოხებით, მოხუცი ქალები ჩანსაცებით ხელში ჩამოვიდნენ ატლანტიკ-სიტიში ალეზიის ბევრი შტატიდან, რათა მოსთხოვონ დემოკრატიულ პარტიას გადაჭრით იმოქმედოს ალისათვის, რომ მიღებულ იქნეს კანონი ღრმად მოხუცების უფასო სამედიცინო მომსახურების შესახებ და უკეთ ეცხოვრებინოთ ეს ადამიანები.

ეს ბრძოლა, „ილაძერებს სოციალური უზრუნველყოფის ყოველგვარი ღონისძიების ჩიხაალმდეგ".

„მისტერო ბრეზიდენტო, ჰიალწეიმას, რომ მიღებულ იქნეს კანონი ღრმად მოხუცების სამედიცინო მომსახურების შესახებ!", „ჩვენი ავადმყოფობა ძძიმე ფინანსური ტვირთია ოჯახებისათვის", „ჩვენ გვინდა უფასო საშედიცინო მომსახურება და რიგიანი ბინა" — წერია ლოზუნგებზე, რომლებიც ხელში უკავიათ მოხუცებს.

მიტინგზე — ღრმად მოხუცი ამერიკელების ფორუმზე — გამოვიდნენ დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე ჯონ ბეილი, სენატორი ფრენკ მოსი, კონგრესმენი ალბერტ ლენგენი, ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი ანტონი სელებეზე და სხვები. მათ ილაპარაკეს, თუ რა გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან ღრმად მოხუცებული ამერიკელები და ამტკიცებდნენ, რომ ნოემბერში არჩევნებზე მხოლოდ დემოკრატიული პარტიის გამარჯვების შემთხვევაში ღრმად მოხუცებულ ამერიკელებს წეიძლიათ იქონიონ იმედი, რომ კეთილსაროტკენი სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც არა ერთი წელია დევს მაუდის ქვეშ კონგრესის კომისიებსა და ქვეკომისიებში, ბოლოს და ბოლოს გახდება კანონები. ატლანტიკ-სიტიში ამჟამად ძყოფა პროფკავშირთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა, რომლებიც იცავენ ოფკალაქეობრივ უფლებებს, თუმცა არ არიან ყრილობის დელეგატები, გაშალეს ენერგიული საქმიანობა კულუარებში. ისინი მოიალბოვენ, რომ ყოლიბლმ მიიღოს პროფკავშირებისათვის უფრო ხელსაყრელი პლატფორმა, ახლა კი როგორც გაზეთ „უოლ-სტრიტ ჯორნელის" კორესპონდენტი წერს, გეგმავენ „ენერგიულ კამპანიას, რომელი პიზანია დაამარცხონ" გოლდუოტერი.

როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, პროფკავშირთა ლიდერები სერიოზულად შეშფოთებული არიან იმით, რომ ეგრეთწოდებული „თეთრი ბუმერანგი" — თავიანთი უფლებებისა და უუნიბარეს ყოველისა მუშაობის უფლებისათვის ზანგთა ბრძოლაზე ზოგიერთი თეთრკანიანის უარყოფითი რეაგირება, რაც გამოიწვია პრესის რეაქციული ორგანოების მეკერალა კამპანიამ — უბიძგებს გოლდუოტერის ბანაკში ჩრდილოეთის სამრეწველო ქალაქების თეთრკანიანი მუშების ნაწილს, რომლებიც ჩვეულებრივ ხმას აძლევენ დემოკრატებს. პროფკავშირული გაერთიანება ამერიკის შრომის ფედერაციი — საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ხელმძღვანელობა და მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ბრძოლის ორგანიზაციათა ლიდერები ემზადებიან გამოიწვევან მასობრივი ტრიალეთ ბროშურები და ფურცლები, წარმოთქვან ასობით სიტყვა, რომლებიც დაემტკიცებენ: ამერიკელებს, რომ ნამდვილი საშიშროებაა გოლდუოტერი, რომელიც სიფრთხეს უქმნის ამერიკის მშრომელთა საარსებო ინტერესებს. პროფკავშირთა ხელმძღვანელები, ცდილობენ დაარწმუნონ რიგითი წევრები, წეის „უოლ-სტრიტ ჯორნელი", „რომ გოლდუოტერის გამარჯვება დიდ ზიანს მიაყენებს მუშებს, პროფკავშირთა მატერიალურ ინტერესებს.

პროფკავშირული მოღვაწეები განსაკუთრებული ძალით გააკრიტიკებენ ატლანტიკ-სიტიში ამ ერთ-ერთ ადგილ-ადგილ ფაშისტურ სეხატორი მხარს უჭერს „მუშაობის უფლების" კანონებს.

„თუ ეჩვენებთ ჩვენს ხალხს, რომ გოლდუოტერი საფრთხეს უქმნის თვითეულ საარსებო საკითხში, აღარ შეეშინდება ზანგების შეტევისა და ხმას მისცემს ჯონსონს", განუცხადა გაზეთის კორესპონდენტს ამერიკის შრომის ფედერაციას-საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის წარმომადგენელმა.

* * *

ეს ნახატი მოთავსებულია ამერიკის პროფკავშირთა გაერთიანების პოლიტიკური კომიტეტის ბიულეტენში.

„მე ვიეტნამში წავალ", — გაიძახის გოლდუოტერი, თან ხელში ატომური ბომბი უჭირავს.

რასისტები კვალს ფარავენ

ნიუ-იორკი, 27 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ს. ლური იუწყება:

მისისიპის შტატში ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის სამი მებრძოლის მკვლელობის საქმის სასამართლო განხილვის მსვლელობაში ნაფიცმა მსაჯულებმა, რომლებიც შეარჩიეს ნეშობის ოლქის თეთრკანიან მოქალაქეთა რიცხვიდან, უარი განაცხადეს ვინმესთვის დაედოთ ბრალდ ეს საშინელი დანაშაული, რომელმაც მთელი ამერიკა შეაძრწუნა.

თავიანთ გადაწყვეტილებაში, რომელიც სავსებით შეეხაბამება რასისტულ „სამართალს", მათ განაცხადეს, რომ „საკმაო საბუთი" არა აქვთ ახალგაზრდების სიკვდილის მიზეზის დასადგენად. ეს მხოლოდ სხვა საშუალებაა გამოაცხადონ, რომ თეთრკანიან ნაფიც მსაჯულს გასწრაფული აქვთ დასასამართ მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლთა მკვლელობის საქმე და დაუსჯელად დატოვონ მკვლელობის მონაწილენი.

ჯერჯერობით არავინ იცის არის თუ არა რომელიმე ნაფიცი მსაჯული კუ-კლუკს კლანის წევრი და აქვს თუ არა უშუალო დამოკიდებულება მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლთა მკვლელობასთან. მისისიპის შტატის ისტორიაში ცოტა მაგალითი როდია, როცა რასისტი ნაძირალები მონაწილეობდნენ თავიანთი დანაშაულის სასამართლო განხილვაში; მაგრამ... საბრალმდებლო სკამზე არ ისხდნენ.

გვინეის შვიდწლიანი გეგმა

გვინეის დემოკრატიული პარტიის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით 14-დან 17 სექტემბრამდე კონაკრიში გაიმართება გვინეის დემოკრატიული პარტიის უმაღლესი ორგანოს — რევოლუციის ეროვნული საბჭოს სესია, რომელიც მეორე იქნება მიმდინარე წელს. რევოლუციის ეროვნული საბჭოს პირველმა სესიამ, რომელიც აპრილში გაიმართა, დაამტკიცა რესპუბლიკის განვითარების შვიდწლიანი გეგმა. მომავალი სესიის ამოცანაა შეაჯამოს გეგმის შესრულების პირველი შედეგები.

ლ. ჯონსონი ატლანტიკ-სიტიში ჩავიდა

ნიუ-იორკი, 27 აგვისტო. (საკდესი). ატლანტიკ-სიტიში, სადაც მიმდინარეობს ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის ყრილობა, ჩავიდა პრეზიდენტი ლ. ჯონსონი. როგორც ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები აღნიშნავენ, ჯონსონი ყრილობაზე დაასახელებს დემოკრატიული პარტიის კანდიდატს ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე. ვაშინგტონიდან წამოსვლის წინ ჯონსონმა განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ გადაწყვიტა დაასახელოს ჰ. ჰემფრი, სენატორი მინესოტის შტატისაგან.

ჰ. ჰემფრი ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატია

ატლანტიკ-სიტი, 27 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). დემოკრატიული პარტიის კანდიდატად ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე დასახელებულია სენატორი მინესოტის შტატისაგან ჰუბერტ ჰემფრი. მისი კანდიდატურა დაასახელა პრეზიდენტმა ჯონსონმა, რომელიც ატლანტიკ-სიტიში ჩამოფრინდა.

კომუნისტი
მე-8 გვერდი, პარასკევი,
28 აგვისტო, 1964 წ.

საერთაშორისო ცხოვრების ერთი ფურცელი

საგეიმო სხდომა ბრატისლავაში

ბრატისლავა, 26 აგვისტო. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დელეგაციათა სააგენტო იუწყება, დღეს ბრატისლავაში გაიმართა სლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის, სლოვაკიის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმისა და სლოვაკიის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა სლოვაკიის სახალხო აჯანყების 20 წლისთავს.

შეკრებილებმა ერთი წუთის დუმილით პატივი სცეს დაღუპულ მებრძოლებს — სლოვაკიის სახალხო აჯანყების მონაწილეებს.

სიტყვა წარმოთქვა სლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა ი. კრიუმა,

მაკარიოსისა და პაპანდრეუს მოლაპარაკება

ათენი, 26 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ათენიდან ნიკოზიაში გაემგზავრა კვიპროსის პრეზიდენტი მაკარიოსი იმ მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ, რომელიც საბერძნეთის მთავრობასთან ჰქონდა კვიპროსის პრობლემაზე. მოლაპარაკებაში საბერძნეთის მხრივ მონაწილეობა მიიღეს პრემიერ-მინისტრმა პაპანდრეუმ, საგარეო საქმეთა მინისტრმა კოსტოპულოსმა, ეროვნული თავდაცვის მინისტრმა გარუფალიასმა და კოორდინაციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ა. პაპანდრეუმ და კვიპროსის მხრივ — საგარეო საქმეთა მინისტრმა კიპრიანუმ და შინაგან საქმეთა მინისტრმა გეორგადისმ.

გუშინ პრეზიდენტი მაკარიოსი შეხვდა ავრეთვე მეფე კონსტანტინეს.

მოლაპარაკებაზე მიღწეულია შეთანხმება, რომ ყოველი ღონე იხმარონ შეშფოთის შესანარჩუნებლად, და კვლავ ხაზგასმულია საბერძნეთისა და კვიპროსის მტკიცე გადაწყვეტილება ერთად მთელი ძალები დაეტანონ აწარმოონ ბრძოლა თურქეთის აგრესიის შემთხვევაში.

დასასრულ დაადასტურეს გადაწყვეტილება კვიპროსის პრობლემა გაიტანონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალ სესიაზე.

გვირგვინით შეამკეს გენჯამინ დევისის კუბო

ნიუ-იორკი, 27 აგვისტო. (საკდესი). სკკა ცენტრალური კომიტეტის დავალებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა წარმომადგენლობის მრჩეველმა ე. მაკეეევმ და „პრავდის" კორესპონდენტმა ბ. სტრელნიკოვმა გვირგვინი მიიტანეს ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნული მდივნისა და ზანგთა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის ბენჯამინ დევისის კუბოსთან. წითელი და თეთრი ვარდების გვირგვინზე წეოელი ლენტია წარწერით: „ძვირფას ამხანაგ ბენჯამინ ჯ. დევისს სკკა ცენტრალური კომიტეტისაგან".

ამ ორ დღეში ასობით ადამიანი მოვიდა დასაკრძალი ბიუროს პატარა, სადა დარბაზში ჰარლემის ცენტრში, სადაც ასვენია ამხანაგ დევისის ცხედარი.

ჩედი ჯაგანი მოუწოდებს

ბრიტანეთის გვიანის მთავრობამ შექმნა ეროვნული ეკონომიური საბჭო პრემიერ-მინისტრ ჰეროლ ჯაგანის მეთაურობით. საბჭოში შედიან ბრიტანეთის გვიანის დიდი სავაჭრო და სამრეწველო კონცერნების, წვრილ ბრეწველთა, ფერმერთა და კოოპერატივების ხელმძღვანელთა წარმომადგენლები. ჩ. ჯაგანმა საბჭოს მოუწოდა მთელი ძალები მოახმაროს განვითარების ახალ პროგრამას, რათა მიაღწიოს იმას, რომ სამრეწველო წარმოება ყოველწლიურად 7 პროცენტით იზრდებოდეს.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოში

პარიზი, 26 აგვისტო. (საკდესი). დღეს რესპუბლიკის პრეზიდენტმა დე გოლმა მოიწვია მინისტრთა საბჭოს მორიგი სხდომა.

სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა კუვ დე მიურვილმა გააკეთა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. გარდა ამისა მინისტრთა საბჭომ განიხილა საშინაო მდგომარეობის მთელი რიგი საკითხები.

ინფორმაციის მინისტრმა პეირეფიტმა, უპასუხა რა პრეს-კონფერენციაზე ჟურნალისტთა კითხვებს, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთის მთავრობას წინანდებურად საჭიროდ მიაჩნია ვიეტნამის მდგომარეობის სსსრაფო მოწესრიგება მოლაპარაკების გზით, რომელსაც მოჰყვებოდა ამ ქვეყნის ნეიტრალიზაცია. ვიეტნამის მდგომარეობა ამ ბოლო დროებში სერიოზულად გაუარესდა, აღნიშნა პეირეფიტმა.

მინისტრმა დასძინა, რომ საფრანგეთის მთავრობა იცავს ადრეთვე კონგოსა და კვიპროსის საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს.

მინისტრთა საბჭო გაეცნო შედეგებს, რომლებიც მოჰყვა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მარსელენის ამასწინანდელ მგზავრობას თურქეთში. მან დადო ხელშეკრულება საფრანგეთში თურქეთის მუშახელის შეყვანის შესახებ იმ დარგებისათვის, რომლებსაც ეს სჭირდებათ.

პრესის მონაცემებით, საქმე ეხება 10.000 თურქი მუშის იმიგრაციას, რომლებსაც გამოიყენებენ ქვანახშირის შახტებსა და მაღაროებში.

საგანგეგო სხდომა ბრაზავილში

ბრაზავილი, 27 აგვისტო. (საკდესი). კონგოს (ბრაზავილი) ეროვნული კრების თავმჯდომარემ ლეონ ანგორმა მოუწოდა შექმნან სახალხო ტრიბუნალი, რათა „გასამართლონ ჩვენი რევოლუციის მტრები". ეროვნული კრების საგანგებო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში ლეონ ანგორმა ბრალი დასდო შეზობელი კონგოს (ლეოპოლდვილი) ძირგამომთხრელ მოქმედებაში კონგოს (ბრაზავილი) წინააღმდეგ.

კონგოს (ბრაზავილი) ეროვნული კრების საგანგებო სხდომა მოიწვიეს ამ ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის განსახილველად შეზობელ კონგოში (ლეოპოლდვილი) მომხდარ ამბებთან დაკავშირებით.

პრემიერ-მინისტრმა პასკალ ლისუბამ, რომელიც სხდომაზე გამოვიდა, აღნიშნა, რომ კონგოს წინააღმდეგ ხლართავენ „შეთქმულების ქსელს, რომელიც საზღვარგარეთ არის მომზადებული და, რომელიც მიმართულია ჩვენი თავისუფლების წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ ჩაახშონ ჩვენი რევოლუცია".

არნახული წყალდიდობა ინდოეთში

ინდოეთის დედაქალაქსა და მის მიდამოებში გრძელდება არნახული წყალდიდობა. ბევრი რაიონი სავსებით დაფარულია წყლით. პრესის მონაცემებით, მოლიანად დაიტუპა მოსავალი 5 ათას აკრ ფართობზე. (საკდესი).

ჩამოგდეს ამერიკის თვითმფრინავი

ნიუ-იორკი, 26 აგვისტო. (საკდესი). გუშინ აჯანყებულებმა ქვემეხის ცეცხლით ჩამოაგდეს ამერიკის სატრანსპორტო თვითმფრინავი დს-3, რომელიც სხვა სამხედრო ტექნიკასთან ერთად გაგზავნა კონგოში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ჩრმბეს დასახმარებლად კონგოელი ხალხის აჯანყებულთა მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამას იუწყება ბუკავუდან ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი.

ლინდონ ჯონსონი პრეზიდენტობის კანდიდატია

ატლანტიკ-სიტი, 27 აგვისტო. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები: გ. ვასილიევი და ვ. ვაშედჩენკო იუწყებიან: დემოკრატიული პარტიის ყრილობამ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატად მომავალ არჩევნებში დაასახელა შეერთებული შტატების ახლანდელი პრეზიდენტი ლინდონ ბ. ჯონსონი. კანდიდატად ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე დასახელებულია სენატორი მინესოტის შტატისაგან ჰუბერტ ჰემფრი. ეს გადაწყვეტილებანი ყრილობამ ერთხმად მიიღო.

ჰემფრის კანდიდატურა წამოაყენა პრეზიდენტმა ჯონსონმა, რომელიც გუშინ საღამოს ჩამოვიდა ატლანტიკ-სიტიში.

თავისი ცხოვრების 32 წლის მანძილზე ჯონსონი აქტიურად მონაწილეობს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრი ფრანკლინ რუზველტის პრეზიდენტობის წლებში, სენატორი, უმრავლესობის ლიდერი სენატში, ვიცე-პრეზიდენტი და, ბოლოს, შეერთებული შტატების პრეზიდენტი — ასეთია ჯონსონის პოლიტიკური კარიერის მთავარი ეტაპები. ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის შესაბამისად ჯონსონმა პრეზიდენტის პოსტი დაიკავა გასული წლის ნოემბერში მას შემდეგ, რაც ტეროროისტმა მოკლა პრეზიდენტი კენედი.

თავის სიტყვებში ჯონსონის დასახელების გამ

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ჩვენი სტუმრები

ქართველ ჟურნალისტებთან სტუმრად იყო ისლანდიის ფერმერთა პარტიის ორგანოს გაზეთ „ტიმინის“ მთავარი რედაქტორი ტორარინ ტორარინი მეუღლითურთ. მან დაათვალიერა თბილისი, ახალმშენებლობანი, ისტორიული და კულტურული ძეგლები. ისლანდიელმა ჟურნალისტმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისადმი. ბ-ნი ტორარინი ეწვია სოფელ ტყვიავის კოლმეურნეობასა და გორის რაიონის ქიწნისის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას.

სტუმარი დატკბა ცნობილი მცხეთელი მეყვავილის, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მ. მამულაშვილის ბაღით. მცხეთაში იგი გაეცნო აგრეთვე ძველი ქართული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ნაგებობებს. მან ნახა თბილისის კინოსტუდიის დოკუმენტური ფილმები, რომლებშიც ასახულია რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის აყვავება.



საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობამ ტორარინ ტორარინისა და მისი მეუღლის პატივსაცემად გამართა ვახშამი.

— დიდხანს გვეხსომება თქვენი საუცხოო, აყვავებული მხარე, სტუმართმოყვარე ხალხი, — თქვა ისლანდიელმა ჟურნალისტმა მოსკოვში გამგზავრების წინ. (საქ‌დესი).

სურათზე: ტორარინ ტორარინი მეუღლითურთ. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მღერის და ცეკვავს „სინათლე“

მოსკოვი, 26 აგვისტო. (საქ‌დესის კორ.). დღეს კრემლის თეატრში გამოვიდა საქართველოს პოპულარული თვითმოქმედი კოლექტივი „სინათლე“.

თბილისელ ტრანსპორტელთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხათელმა და ხალისიანმა ხელოვნებამ ფართოდ გაითქვა სახელი. თავისი ოცი წლის ისტორიის მანძილზე კოლექტივმა ორჯერ მოიპოვა ლაურეატის წოდება ახალგაზრდობის ფესტივალებზე ვენასა და ჰელსინკში.

ნაწარმოებებმა სამშობლოსა და პარტიაზე, ხალხთა მშვიდობასა და მეგობრობაზე წამყვანი ადგილი დაიკავა პროგრამაში, რომელიც ანსამბლმა „სინათლემ“ უჩვენა მოსკოველებს. შემსრულებელთა წარმატება გაიზიარეს ანსამბლ „სინათლის“ ხელმძღვანელმა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა გ. დარახველიძემ (ბალეტმაისტერი), საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწეებმა ა. ქარსელაძემ (ლოტბარი) და ა. მირიანაშვილმა (ეოკალური ჯგუფის ხელმძღვანელი).

თორმეტი ფინალისტი

„ა“ კლასის მეორე ჯგუფის ფეხბურთელთა კოლექტივების წინასწარი შეხვედრების დამთავრებამდე ერთი ტური დარჩა. ეს მატჩები შედგება 31 აგვისტოს. თოთხმეტი ფინალისტიდან უკვე ცნობილია თორმეტი.

პირველი ჯგუფიდან ფინალისტები გახდნენ: ხარკოვის „ავანგარდი“, ოდესის „ჩერნომორეცი“, ვილნიუსის „ჟალგირისი“, ლუგანსკის „ზარია“, ჩელიაბინსკის „ლოკომოტივი“ და ტაშკენტის „პახტაკორი“. მეშვიდე ვაკანტური ადგილის პრეტენდენტები არიან ნოვოსიბირსკის სკა, რომელმაც შეჯიბრება 24 ქულით დაამთავრა, და რიგის „დაუგავა“. რიგელებს 23 ქულა აქვთ, მაგრამ მათ ჩასატარებელი დარჩათ ერთი თამაში.

მეორე ჯგუფშიც ცნობილია დასავნითი ასპარეზობის ექვსი მონაწილე. ესენი არიან: ოდესის სკა, მოსკოვის „ლოკომოტივი“, ყარაგანდის „შახტიორი“, ერევნის „არარატი“, ლვოვის „კარპატი“ და ვორონეჟის „ტრუდი“. **თბილისის „ლოკომოტივმა“** 26 ქულა შეაგროვა და ჩასატარებელი დარჩა ერთი თამაში ვოლგოგრადის „ტრაქტორთან“. ამ შეხვედრის ფრედ დამთავრების შემთხვევაშიც კი ლოკომოტიველებს უზრუნველყოფილი აქვთ ფინალში მოხვედრა. თბილისელთა მეტოქეა ზაპოროჟიეს „მეტალურგი“, რომელსაც 24 ქულა აქვს. ზაპოროჟიელებს ერთი მატჩი დარჩათ ტალინის „დინამოსთან“.

„ხომალდის დაგვადეგა“

ბათუმი. (საკ. კორ.). ლურჯად მოლივლივე ზღვა, მოფარფატე თოლიები, ზღვის ნაპირზე პატარა ბიჭუნები სათამაშო გემებს უშვებენ წყალში... „გავიარეს წლები, და ვინ იცის, იქნებ ისინიც ნამდვილი გემთმშენებლები გახდნენ, ისეთები, როგორებიც ბათუმის გემთსამშენებლო ქარხანაში არიან...“ — ამბობს დიქტორი, და კადრებს ქარხნის საამქროებში გადაეყაართ, სადაც იბადება წყალქვეშაფრთებიანი კატარღები და გლისერები, საბოცმანო გემები და სამგზავრო თბომავლები.

ეკრანზე ვხედავთ მოწინავე გემთმშენებლებს, რომელთა ნახელავს მოწონება ხვდა ჩვენს ქვეყანაში, მის ფარგლებს გარეთაც — იტალიასა და საფრანგეთში, გმირ კუბასა და მოძმე ჩეხოსლოვაკიაში...

ასეთია მოკლე შინაარსი ახალი ორნაწილიანი ფილმისა — „ხომალდის დაბადება“, რომელიც საქართველოს ტელევიზიის სტუდიამ გადაიღო. სცენარის ავტორია გ. სანადირაძე, რეჟისორ-ოპერატორი შ. მენაღარიშვილი.

ოლიმპიადა

საკავშირო საჭადრაკო პირველობის მინსკის ნახევარფინალის მეთექვსმეტე ტურში ყურადღების ცენტრში იდგა ლიდერების — გროსმაისტერ სუეტინისა და ბოიარინოვის პარტია. გაიმარჯვა სუეტინმა და კვლავ სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცა.

მეტად პასუხსაგები პარტია ჰქონდა გურგენიძეს სავონთან. შეხვედრა არ დამთავრებულა. გურგენიძეს მატერიალური დანაკლისი აქვს. გადაიდო აგრეთვე გაფრინდაშვილი-ზილბერის პარტია. პოზიცია რთული.

პეტერსონმა მოუგო მიკენასს. ნოსკოვმა — შაგალოვიჩს, ზახარიანმა — ვალიევს. ვორო